პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

26 აგვისტო სამშაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი • № 197 (14497)

# მომზადებული შევხვდეთ რთველს

ვენახებში ყოველგვარი სამუშაო დამთავრდა, ყურძენმა ფერი იცვალა. მევენახის ენაზე ეს იმას ნიშნავს, რომ ზვრები დაიკეტა, რთველამდე იქ არავინ არ უნდა შევიდეს, მიწამ უნდა მოისვენოს, მტევანი უნდა დამსხვილდეს, დიამკრახოს, დაშაქრდეს. მაგრამ თვით მევენახეს დასვენებისათვის აბა სადა სცალია! ვიდრე ყურძენი დაშაქრდებოდეს, მეზვრეებს საქმე, რომ იტყვიან, ყელამდე აქვთ. რთველამდე დარჩენილ ერთ თვეში მევენახეები ისე უნდა მოემზადნენ, რომ ყურძენი მოკლე დროში და უდანაკარგოდ მოკრიფონ. ყოველგვარი წვრილმანი დეტალურად უნდა გაითვალისწინონ; დაწყებული ყურძნის საკრეფი დანებით და დამთავრებული ღვინის დასაყენებელი ჭურჭლით — ყველაფერი დროულად უნდა მომზადდეს.

რთველი ხომ ჩვენი მეზვრეების გულგასახარი, მთელი წლის ენერგიული ნაშრომის შეჯამების დროა! რთველის ორგანიზებულად, შემჭიდროებულ ვადებში წარმართვა ჩვენი მევენახეების, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების საპატიო საქმეა.

მიმდინარე წელი მევენახეებისათვის ბევრი რამით არის ღირსშესანიშნავი. ჯერ ერთი, ისინი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებანი ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის იბრძვიან, მეორეც — წელს მათ 300 ათასი ტონა ყურძენი უნდა მიჰყიდონ სახელმწიფოს. ამდენი ყურძენი ჩვენს მევენახეებს ხომ ჯერ არ დაუშვიდიათ! გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი მძიმე ბუნებრივი პირობები, წელს რომ იყო, იშვიათად თუ ყოფილა. დაგვიანებული გაზაფხული, შემდეგ გაშფოთებული ჭიქა-ქუხილი, რასაც სეტყვა მოსდევდა, მერე გვალვები, და ადვილი წარმოსადგენია, რა დიდი ჯაფა დაადგებოდათ საქართველოს მეზვრეებს. მაგრამ ქართველმა მევენახეებმა უსსოვარი დროიდან ხომ ვაზი შვილივით შეიყვარეს! შვილს კი გაჭირვებაში აბა ვინ მიატოვებს! პირიქით, მევენახე ვაზს თვალისჩინივით უვლის, ეფერება, ენერგიის დაძაბვით ებრძვის ავადმყოფობასა თუ სხვა სტიქიურ მოვლენებს, ვინაიდან იცის, რომ ჯანსაღი ვაზი წელს თუ არა, მომავალ წელს მაინც უხვი მოსავლით გულს გაუხარებს.

შრომაში გაუტეხელი ქართველი მევენახეები სტიქიურ მოვლენებს მედგრად ხვდებოდნენ. ისინი სეტყვის შემდეგ დაცარიელებული ვენახისაკენ მიეშურებოდნენ, რომ წამოეყენებინათ ვაზი, მერე წამალი შეესხურებინათ, გოგირდი შეეფრქვიათ. მათ იციან, რომ ნასეტყვი ვენახი სრულ მოსავალს ვერ მისცემს, მაგრამ მომავალი წელი ხომ წინ არის! შეუპოვრობა, გულგაუტეხლობა და ნებისყოფა თვალნათლივ მარჩენალის — ვაზისადმი შეუნელებელი სიყვარული გამოავლინეს წელს ყვარლის, გურჯაანის, თელავის რაიონების იმ მევენახეებმა, სადაც სეტყვამ ვენახები ერთობ დააზიანა. მევენახეებს მხარში ედგნენ. საქმით ეხმარებოდნენ ამ რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელები.

300.000 ტონა ყურძენი — საშობლოს! აი რა ზღუდი უნდა აიღონ წელს საქართველოს მევენახეებმა. ჩვენი რესპუბლიკის მეტ წილ რაიონებში ვენახებს კარგად მოუარეს და ახლა ჩინებული რთველის მოლოდინში არიან. რა თქმა უნდა, მევენახეებმა კარგად იციან, რა უნდა გააკეთონ რთველამდე დარჩენილ დროში, მაგრამ ჩვენი კეთილი რჩევა მათთვის მაინც სასარგებლოა. მათ უნდა შევახსენოთ, რომ რთველის ორგანიზებულად, შემჭიდროებულ დროში დამთავრება იმის საწინდარია, რომ მთელი წლის ნაშრომი უკლებლად მიიტანონ მარნებში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დროზე დვალკომპლექტოთ მკრეფავთა ბრიგადები, ვენახებში მისასვლელი სატრანსპორტო გზები წესრიგში მოვიყვანოთ, გამართულ მდგომარეობაში გვქონდეს ტრანსპორტი, საჭირო რაოდენობით მოვიმარაგოთ ყურძნის საკრეფი ინვენტარი, ჭურჭელი.

სიღნაღის, წითელწყაროს, ახმეტის, გარდაბნის, ზესტაფონის, მაიაკოვსკის, თერჯოლის, ვანის და მთელი რიგი სხვა რაიონების მევენახეებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ რთველი ორგანიზებულად დაამთავრონ. ამავე დროს მათ მოუზდებათ იმ დანაკლისის შევსება, რაც ზოგიერთ რაიონში სტიქიურმა მოვლენებმა გამოიწვია.

დიდი და პასუხსაგები ამოცანების შესრულება აკისრიათ „სამტრესტის“ პირველადი გადამუშავების ქარხნებს. ქართული ღვინის ხარისხისა და სახელის დაცვა, უსსოვარი დროიდან მოხვეჭილი ღირსების შენარჩუნება და განმტკიცება დიდად არის დამოკიდებული საქართველოს მეღვინეებზე. ზღვად მოსული მოსავლის შეუფერხებლად მიღება და გადამუშავება ღვინის მრეწველობის მუშაკთა საპატიო ამოცანაა. მათ წელს 22 მილიონი დეკალიტრი ღვინო უნდა აწარმოონ. ეს დიდ შრომასა და ენერგიას, ცოდნას, საქმის სიყვარულს მოითხოვს. ჩვენ გვწამს, რომ ქართული ღვინის მარკის ამაღლებისათვის მეღვინეები არ დაიშურებენ უნარსა და ცოდნას, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ მომხმარებელს მისცენ მეტი არომატული, მაღალხარისხოვანი ქართული ღვინო.

„სამტრესტის“ ღვინის ქარხნებში რთველისათვის მზადება დროულად დაიწყეს. წინანდლის, ნაფარეულის, ქისტაურის, თელავის, ოკამის, მცხეთის, არგვეთის, ვარციხის და სხვა ღვინის ქარხნები კარგად ემზადებიან ყურძნის მიღებისა და გადამუშავებისათვის. მათ დროულად დაცალეს და გაასუფთავეს ტარა-ჭურჭელი, შეაკეთეს ყურძნის გადასამუშავებელი მანქანები.

რთველის მოახლოება რატომღაც არ იგრძნობა ზოგიერთ ქარხანაში. ზოგან ალბათ ფიქრობენ, დრო საკმაოა, მოვასწრებთო. მაგრამ მათ უნდა შეეგახსენოთ, რომ მედლეხვალიეს უთუოდ მოუგვიანდება. ზესტაფონის რაიონის მევენახეები წელს კარგად გაიხარჯნენ და უხვ მოსავალსაც მოელიან, მაგრამ ყურძნის მიღებისა და შეუფერხებლად გადამუშავებისათვის ნაკლებად ზრუნავენ. ზესტაფონის ქარხანამმართველოს მუშაკები. იქ არ იგრძნობა რთვლისწინა სამზადისი. თერჯოლის ქარხანამმართველომ სიმონეთის ღვინის ქარხანაში დიდი სამუშაოები წამოიწყო, მაგრამ საქმის ნელი ტემპით წარმართვა საზიანოა. მათ უფრო მეტის გაკეთება დასჭირდებათ, რომ მომზადებული შეხვდნენ რთველის დაწყებას. მანავის ღვინის ქარხანაში მანქანა-დანადგარების შეკეთება ჭიანურდება. წდგომარეობის გამოსასწორებლად ქარხნის ხელმძღვანელობამ გადამჭრელი ღონისძიებები უნდა განახორციელოს.

შემოდგომამდე, ყურძნის კრეფის დაწყებამდე, ზოგიერთ ღვინის ქარხანაში უნდა დამონტაჟებულიყო ქადეიშვილის სისტემის კარუსელური ელათინები წნეხები, რაც გაადვილებდა ყურძნის გადამუშავებას, საშუალებას მისცემდა მეღვინეებს შეუფერხებლად მიეღოთ ზვრების ბარაქა. მაგრამ იმის გამო, რომ თბილისის ორკონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანამ ვერ უზრუნველყო წნეხების დამზადება, ახმეტის ღვინის ქარხანაში ვერ დამონტაჟდა ეს მანქანა. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს წნორის მერვე სამშენებლო უბანი შეუწყნარებლად აჭიანურებს ბოდბე-მაღაროს ღვინის ქარხანაში მიმღები განყოფილების მშენებლობას. ტიბანის ღვინის ქარხანაში კი სამი წლის წინათ აშენებული ბუტები დღემდე საეკსპლოატაციოდ არ არის გადაცემული. ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა დროზე უნდა მოხდეს, რომ არ შეფერხდეს ყურძნის მიღება-გადამუშავება.

**მევენახეებო, მეღვინეებო, რაიონების პარტიული და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებო! რთველი კარს მოგვადგა. და, დარჩენილი დრო მაქსიმალურად გამოვიყენოთ, შემჩნეული ნაკლოვანებანი სწრაფად აღმოვფხვრათ! ორგანიზებულად შეხვდეთ რთველს. დროულად, უდანაკარგოდ მოვკიფოთ ყურძენი, შეუფერხებლად გადავამუშაოთ მევენახეთა გარჯის ნაყოფი, ენერგიულად ვიბრძოლოთ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის!**

## ლენინურ ჯგროვის ასეულს 100

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოში

# რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

**საქართველოს** სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილეს რესპუბლიკური და საკავშირო რესპუბლიკური დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების მეორე კვარტალის შუამავლის შედეგები.

**გამარჯვებულებს მიენიჭათ საქართველოს** სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები და პირველი ფულადი პრემიები:

**საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს** საწარმოთა შორის — თბილისის პლასტმასის ნაწარმის ფაბრიკის კოლექტივს;

**საქართველოს სსრ ხე-ტყის და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს** საწარმოთა შორის — ახმეტის ხისდამამუშავებელი კომბინატის კოლექტივს;

**საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს** საწარმოთა შორის — სამტრესტის თბილისის № 1 ღვინის ქარხნის, იქალთოს მინის ქარხნისა და სამტრესტის თბილისის კონიაკის ქარხნის კოლექტივებს.

**საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს** საწარმოთა შორის — თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკისა და ძაფდ-ქამოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ კოლექტივებს.

**საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს** საწარმოთა შორის — თერჯოლის საკომლეურნეობათაშორისო ორგანიზაციის კოლექტივს.

**საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს** საწარმოთა შორის — მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების წყალტუბოს რაიონული სამმართველოსა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ქუთაისის საქალაქო განყოფილების ტანსაცმლის ინდივიდუალური მეკერვის ფაბრიკის კოლექტივებს.

**საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს** საწარმოთა შორის — თბილისის შშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოსა და გორის წყალსადენ-კანალიზაციის მეურნეობის სამმართველოს კოლექტივებს.

**საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს** საწარმოთა შორის — თბილისის საშენ-მასალათა კომბინატის კოლექტივს.

**საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს** საწარმოთა შორის — „საქშახტმშენის“ № 7 ტრესტის, „ვითურშახტმშენის“ სამშენებლო სამმართველოსა და № 3 ტრესტის № 7 სპეციალიზებული სამშენებლო სამმართველოს კოლექტივებს;

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს** საწარმოთა შორის — ბოლნისის ხორცკომბინატის კოლექტივს.

**საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს** საწარმოთა შორის — „ალაზანმშენის“ ტრესტის № 2 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს კოლექტივს;

**საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს** საწარმოთა შორის — რესპუბლიკური საბაჭრო ორგანიზაციის — „საქვაჭრობის“ კოლექტივს.

**საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს** საწარმოთა შორის — № 2660 ავტოკოლონისა და მახარაძის სატვირთო ავტოტრანსპორტის კანტორის კოლექტივებს.

**საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს** საწარმოთა შორის — № 28 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის კოლექტივს.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოების სამმართველოს** საწარმოთა შორის „საქელექტრომონტაჟის“ ტრესტის თბილისის სამონტაჟო სამმართველოს კოლექტივს.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ქიმიური მრეწველობის სამმართველოს** საწარმოთა შორის — რაჭის სამთო-მეტალურგიული კომბინატის კოლექტივს.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურის პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის** საწარმოთა შორის — ნავთლუღის პურის პროდუქტების ბაზის კოლექტივს.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რეპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“** საწარმოთა შორის — „საქსოფლტექნიკის“ თელავის რაიონული განყოფილების კოლექტივს.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს** საწარმოთა შორის — ივრის ჰიდროგეოლოგიური პარტიის კოლექტივს.

**თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს** საწარმოთა შორის — ელექტროდეპოს კოლექტივს.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს** საწარმოთა შორის — „საქლითონმომარაგებაგასაღების“ ქუთაისის ლითონის ბაზისა და — „საქქვანახშირმომარაგებაგასაღების“ სამმართველოს კოლექტივებს.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს** საწარმოთა შორის — „ნიკობესის ჰიდროელექტროსადგურის № 2 კასკადის კოლექტივს.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს** საწარმოთა შორის — „აბარგაზის“ სამმართველოს კოლექტივს.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის** საწარმოთა შორის — თბილისის კინოთეატრ „ამირანის“ კოლექტივს.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „საქკონსერვხელბოსტნის“ სახელმწიფო კომიტეტის** საწარმოთა შორის — შორისა და ლაგოდეხის ხილ-კენკრის ღვინოების ქარხნების კოლექტივებს.

**მეორე ფულადი პრემიები მოიპოვეს** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის მთავარი სამმართველოს თერჯოლის გეოლოგიურ-საძებნო პარტიისა და მიქვეფის გეოლოგიურ-სადაზვერვო პარტიის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს ქუთაისის ხე-ტყის საწყობის, თბილისის მერრადი ნედლეულის გადამუშავების ფაბრიკისა და „საქფერადლითმომბრესტორსების“ გურჯაანის წვრილსაბითუმო ვაჭრობის მაღაზიის კოლექტივებმა.

**მესამე ფულადი პრემიები დაიმსახურეს** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს ტყვარჩელის საშენ მასალათა გეოლოგიურ-სადაზვერვო ექსპედიციის, კომპლექსური ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური სადგურის და გეოლოგიურ-სადაზვერვო ექსპედიციისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს „საქქვანახშირმომარაგებაგასაღების“ სამმართველოს ტყიბულისა და ტყვარჩელის კანტორებისა და „საქკომპლექტმოწყობილობის“ სამმართველოს კოლექტივებმა. (საქდესი).



ბელორუსიის სსრ ლუკომლის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში შეუდგნენ 300 ათასი კილოვატი სიმძლავრის პირველი ტურბოგენერატორის მონტაჟს. სულ სადგურში რვა ასეთი ტურბოგენერატორი დაიდგმება.

ტრეტ „ცენტროენერგომონტაჟის“ უბნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ვადამდე — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 52-ე წლისთავისათვის დაამთავროს პირველი ტურბოგენერატორის მონტაჟი.

სურათზე: პირველი ტურბინის როტორის რეგულირება.

ფოტო მ. მინკოვიჩისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

# უდიდესი ელექტროსადგური დონგასის ცენტრში

**დონეცკი.** (საქდესის კორ.). „ამუშაოთა ახალი ეტაპი დაიწყო ენერგეტიკის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის — უდიდესი თბოელექტროსადგურის აშენებლობაზე: მეტალოფენებმა დაიწყეს მთავარი შენობის აგება. 600 მეტრი სიგრძის ორკუნსში გაჭიმავენ ელექტროაგრეგატებს, რომელთა საერთო სიმძლავრე შეადგენს 3 მილიონ 600 ათას კილოვატს.

ეს სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური შენდება დონეცის აუზის ცენტრში იმ შახტების მეზობლად, რომლის ქვანახშირსაც დაწვავს.

## კონვეიერზეა ახალი ტრაქტორი

**ხარკოვი.** (საქდესის კორ.). ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის საამწყობო კონვეიერიდან ჩამოვიდა ახალი თვლიანი „ტ-25“ ტრაქტორის პირველი პარტია. ამ ტრაქტორმა შეიცვალა ტრაქტორი „დტ-20“. ახალი მარკის ტრაქტორის წარმადობაზე გადავიდნენ ისე, რომ კონვეიერი არ შეუჩერებიათ.

„დტ-20“ ტრაქტორის დიზელის ძრავა ნაცვლად, რომელიც წელიწადს ცოდებოდა, ახალ მოდელზე დგას ვლადიმირის ქარხნის ძრავა, იგი ჰაერით ცივდება. „ტ-25“ ტრაქტორს აქვს არა მარტო დიდი სიმძლავრე, არამედ გადიდებული სამუშაო სიჩქარე, რომელიც საშუალებას იძლევა ერთსა და იმავე დროს შესრულებულ დიდი მოცულობის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. ამასთან ამცირებს სამუშაოთა თვითღირებულებას.

## პატივს სცემენ გმირთა ხსოვნას

**კიშინიოვი,** 25 აგვისტო. (საქდესის კორ.). გუშინ დღისით მთელ რესპუბლიკაში გამოცხადდა ერთი წუთის დუმილი. მშრომელებმა პატივი სცეს ფაშისტ დამპყრობლებისაგან საბჭოთა მოლდავეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღუპულ გმირთა ხსოვნას. გაირინდა საპატიო ყარაული მარადიულ ცეცხლთან კიშინიოვის სამხედრო სასაფლაოზე. აქ ათასობით ადამიანი შეიკრიბა რესპუბლიკის დედაქალაქის განთავისუფლების 25 წლისთავის დღეს.

რესპუბლიკის ტერიტორიაზე ბრძოლებში დაღუპულ გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ი. ბოდიუღამ.

ხალხმა დაუსრულებელ ნაკადად ჩაუარა ძმათა სასაფლაოს. გრიალებს საარტილერიო სალუტი.

მარადიული ცეცხლის ახლოს აწყობრი ნაბიჯით ჩაიარეს კიშინიოვის გარნიზონის მეომრებმა.

სადამოს რესპუბლიკურ სტადიონზე დიდი სახალხო ზეიმი გაიმართა.

შეკრებილთა წინაშე სიტყვები წარმოთქვეს მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ფ. დიორდიცამ და სხვებმა.

შემდეგ გაიმართა გრანდიოზული თეატრალური წარმოდგენა.

# გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოფენა თბილისში

„ტემპი, ტექნიკა, ტრადიციები“. ასეთი დევიზით ძღვნილ გერმანიის. დემოკრატიული რესპუბლიკის საკანტორო და გამოსათვლელი მანქანების გამოფენა თბილისში ეწი დაკავშირებულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 20 წლისთავთან და ეხმაურფა სოციალისტური სახელმწიფოს პროგრესს ეროვნულობის ამ დარგის განვითარებაში.

გამოფენა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობეს მიღწევათა გამოფენის ერთერთ პავილიონში მოაწყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საგაჭრო საწარმომ „ბიურომაშინენ-ექსპორტმა“ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს საგაჭრო პალატების დახმარებით.

გამოფენის გახსნის წინ, 25 აგვისტს გაიმართა პრეს-კონფერენცია. საქართველოს სსრ საგაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე რ. ელიგულაშვილი მიესალმა გამოფენის ორგანიზატორებს, გერმანელ საელჩოლებს.

საგარეო-საგაჭრო საწარმოს „ბიურომაშინენ-ექსპორტის“ გენერალური დირექტორის მოადგილემ კარლ ჰაინს ამარელმა ტურნალისტებს უთხრა, რომ სსრ კავშირი ბევრი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საგაჭრო საწარმომ „ბიურომაშინენ-ექსპორტმა“ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს საგაჭრო პალატების დახმარებით.

ბევრ სხვადასხვა ელექტრომექანიკური და ელექტრონული გამოსათვლელ მანქანას იყენებენ საქართველოს სახალხო მეურნეობაში, კერძოდ, რესპუბლიკის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში.

გამოფენის მეტი ნაწილი ექსპონატები — ამ პროდუქციის ნიმუშია, რომელსაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა აწვდის საბჭოთა კავშირს. გამოფენილ საკანტორო მანქანებს შორის ბევრია სიახლე. საყურადღებოა საბუღალტრო ავტომატები ქართული და სომხური შრიფტით.

გამოფენის მუშაობის დღეებში გაიმართება მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენციები, საბჭოთა სპეციალისტების კონსულტაციები ელექტრომექანიკური და ელექტრონული გამოსათვლელი მანქანების მომსახურებისა საკითხებზე.

პრეს-კონფერენციას ესწრებოდნენ კომბინატ „ცენტრონიკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე ალმა სროკა, სახალხო საწარმოს „ბიურომაშინენფერკეზონ მ გერის“ კომერციული დირექტორი პაუნტერ გატი, ხარბეულტრო მანქანების ქარხნის „ასკატის“ კომერციული დირექტორი ვეორგ ბეერ; თბილისში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოფენის დირექტორი ვერნერ ბლეშე, საგარეო-საგაჭრო საწარმო „ბიურომაშინენ-ექსპორტის“ გენერალური დირექტორის საკავშირო რწმუნებული იოჰანეს ჰელდა. (საქდესი).

საქართველო უზრუნველყოთ საკუთარი წარმოების კარტოფილით

# წალკელთა პირობა

გვესაუბრება საქართველოს კპ წალკის რაიკომის პირველი მდივანი ა. მაკაროვი

**წალკის** რაიონის კარტოფილი ცნობილია მთელ რესპუბლიკაში. გასულ წელს რაიონის შრომელებმა, მიუხედავად ჭირვეული ამინდისა, მოიყვანეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 14 ათასი ტონა კარტოფილი. ცხადია, ეს მაჩვენებელი არადამაკმაყოფილებელია. წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსულად შესვლისათვის და გადაწყვიტეს მიიღონ 20 ათასი ტონა კარტოფილი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 18.000 ტონისა.

პირობის შესასრულებლად სამეურნეო წლის დასაწყისიდან ენერგიული მუშაობა დაიწყო. პირველადი პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებთან ერთად, სათავეში ჩაუდგნენ რეზერვების გამოძებნას იმისათვის, რომ თავიანთი საპატიო წვლილი შეიტანონ საქართველოს მშრომელთა საკუთარი წარმოების კარტოფილით უზრუნველყოფის საქმეში.

წალკელებმა კარგად იციან, რომ კარტოფილის მოსავლიანობის ზრდა დიდად არის დამოკიდებული ნიადაგის სწორად შერჩევაზე, ჯანსაღ თესლზე და ნათესების აგროვადებში დამუშავებაზე. ამ მხრივ წელს რაიონში შრომაზედლთან შედარებით უკეთესი მაჩვენებლებია. ავრანლოს საბჭოთა მეურნეობაში ფართოდ იყენებენ მექანიზაციას. აქ მანქანებით აწარმოეს კარტოფილის რგვა.

მარტო ამით როდი მივიღებთ უხვ მოსავალს. რაიონის მეკარტოფილეებმა ნათესში საჭირო რაოდენობით შეიტანეს სასუქი, თავის დროზე აწარმოეს ნიადაგის გაფხვიერება, მკენარისათვის მიწის მეშოყრა, დამატებითი გაშოკვება და სხვ. ყურადღება მიექცა აგრეთვე კარტოფილის დაავადების დროულად ლიკვიდაციას.

ახლა მოსავალს კარგი პირი უჩანს. გასაკუთრებით აღსანიშნავია ბეშთაშენის, ავრანლოს, წალკის საბჭოთა მეურნეობები, აშალას, კუშჩის, ჯინისის, ნარდეევანის კოლმეურნეობები, რომლებმაც კარგად მოუარეს კარტოფილის ნათესებს და ამის შედეგად მოსალოდნელია მოსავლიანობის წლიური გეგმა დიდი გადაჭარბებით შესრულდეს.

კარტოფილის მოსავლის აღება ყველაზე რთული და შრომატევადი პროცესია. მოსავლის აღება იწყება იმ დროს, როცა ფოთლები გახმობას იწყებს. პირველად რაიონში მოსავლის აღება გუნთნებითა და ბარით წარმოებდა. ეს პროდუქციის თვითღირებულებას ზრდიდა. წელს ძირითადად გამოყენებული იქნება კარტოფილის ამღები მანქანები. ეს მუშახელის ეკონომიასთან, ერთად გააიაფებს მიღებულ პროდუქციას.

მიკიოლთ მეტი და იაფი კარტოფილი — ასეთია წალკელთა პირობა.

უძველესი ხალხის

## ერთიანი ფრონტი ფაშიზმის წინააღმდეგ

**პარიზი,** 25 აგვისტო. (საქდესი). არალეგალურად მომუშავე ესპანეთის სოციალისტურმა მუშათა პარტიამ და პორტუგალიის სოციალისტური მოქმედების პარტიამ გადაწყვიტეს გაერთიანონ ღონისძიებანი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გადაწყვეტილება, შეკავშირებულ ესპანეთისა და პორტუგალიის პარტიების მოქმედება, მიიღეს ამ ორი ანტიფაშისტური მოძრაობის ხელმძღვანელთა მოლაპარაკების დროს, რომელიც ლონდონსა და პარიზში გაიმართა.

## აგრესიის კიდევ ერთი აქტი

**ამანი,** 25 აგვისტო. (საქდესი). დღეს დილით ისრაელის სამხედრო თვითმფრინავები თავს დასხმენენ იორდანიის სოფელ ას-სუნნეს ვადი ზერკის რაიონში, რომელიც მდებარეობს 30 კილომეტრზე ამანს ჩრდილო-აღმოსავლეთით. იორდანიის სახელმწიფო ორტოლერიამ ცეცხლი დაუშვა აგრესორებს.

## ბალდაღის რადიოს ცნობა

**ბეიროუთი,** 25 აგვისტო. (საქდესი). როგორც ბალდადის რადიომ გადმოსცა, დღეს ერაყში სისრულეში მოიყვანეს სიკვდილის განაჩენი, რომელიც გამოუტანეს 15 პირს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის სასარგებლოდ ჯაშუშური საქმიანობისათვის. სიკვდილით დახვრეტილთა შორის რამდენიმე სამხედრო მოსამსახურე იყო.

## ბულგარეთის ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბულგარეთის** ეროვნული ბიბლიოთეკა ... ... ...

# წერილები რედაქციას

# ვალს გადასცდა უნდა

## ბანკი და უწყებანი

**სახალხო** მეურნეობაში დაკრედიტების და ანგარიშწორების შემდგომი გაუმჯობესებისა და წარმოების სტიმულირებაში კრედიტის როლის ამაღლების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომელშიც დასახულია სახალხო მეურნეობის ყველა დარგთან საკრედიტო ურთიერთობის განმტკიცებისა და გაფართოების კონკრეტული ღონისძიებანი.

ამავე დადგენილებით დაევალათ სამინისტროებს, უწყებებს სისტემატიური კონტროლი გაუწიონ საწარმოებსა და ორგანიზაციებს სწორად და ეფექტურად გამოიყენონ საკუთარი სახსრები და ბანკის კრედიტები, ამავე დროს დროულად გადაუხადონ ბანკს სესხი. მიიღონ საჭირო ზომები მატერიალური და ფულადი სახსრების ხარჯვაში უყაირათობისა და ზედმეტობის აღმოსაფხვრელად.

მიუხედავად განხორციელებულ ღონისძიებებისა, რესპუბლიკის მთელი რიგი ორგანიზაციები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან სახელმწიფო სესხის გადახდას.

1969 წლის პირველი იანვრისათვის მოკლევადიანი კრედიტების დავალიანებამ რესპუბლიკაში მიაღწია 1.500 მილიონ მანეთს, რაც 1968 წლის პირველ იანვართან შედარებით გაზრდილია 170 მილიონი მანეთით. როგორც ვხედავთ, გაცემული კრედიტები საგრძნობლად გაზრდილია.

ყველა საწარმო და ორგანიზაცია, რომელიც სარგებლობს მოკლევადიანი კრედიტით და ბანკს თავის დროზე არ გადაუხდის სესხს, დაგვიანებისათვის ბანკს უხდის პროცენტს. მაგალითად, 1968 წელში მოკლევადიანი ვადაგადაცილებული სესხებისათვის ბანკმა ორგანიზაციებს საურავის სახით გადაახდევინა 3,5 მილიონი მანეთზე მეტი.

ასევე თავის დროზე მიმწოდებელთა ანგარიშების გაუნაღდებლობისათვის მყიდველები იხდიან საურავს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.03 პროცენტის ოდენობით, რაც ასევე საგრძნობ თანხას შეადგენს.

მაგალითად, რესპუბლიკაში 1969 წლის პირველი იანვრისათვის სახბანკის ვადაგადაცილებული დავალიანება მოკლევადიანი სესხების ოდენობამ შეადგინა 65.4 მილიონ მანეთს, ხოლო მიმწოდებლთა გაუნაღდებული ანგარიშების დარგში — 56,2 მილიონ მანეთს. პირველი იანვრისისათვის ეს თანხები შესაბამისად გაიზარდა. პირველმა მიაღწია 80,5 მილიონ მანეთს, ხოლო მეორემ — 99,7 მილიონ მანეთს.

მიუხედავად იმისა, რომ სახბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ ჩაატარა მთელი რიგი ღონისძიებები იმ საწარმოებში და ორგანიზაციებში, რომლებიც დროულად არ იხდიან სესხებს, არ ანაღდებენ ანგარიშებს, მდგომარეობა მაინც არასახარბიელოა. 1968 წელს ბანკმა სანქცია წაუყენა 287 ორგანიზაციას, მათ შორის დაკრედიტებიდან მოხსნა 121, ხოლო დაკრედიტების განსაკუთრებულ რეჟიმზე გადაიყვანა 48 ორგანიზაცია.

დიდი ხნით ვადაგადაცილებული დავალიანება ირიცხება რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებზე. მაგალითად, მიმდინარე წლის პირველი იანვრისათვის სახბანკის ვადაგადაცილებული სესხები იყო 3,1 მილიონი მანეთი და გაუნაღდებელი ანგარიშები მიმწოდებლებისა 2,8 მილიონი მანეთი. პირველი იანვრისისათვის გაიზარდა შესაბამისად პირველი 12.8 მილიონ მანეთამდე, ხოლო მეორე 8,4 მილიონ მანეთამდე. სახბანკის ვადაგადაცილებული სესხები ვაჭრობის სამინისტროს ორგანიზაციებზე ირიცხება 1.436 ათასი მანეთი, სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებზე — 4.928 ათასი მანეთი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მძიმე სიფინანსო მდგომარეობა საქხლებოტანგაჭრობის სიბოთუმო კანტორისა, რომელსაც სახბანკის ვადაგადაცილებული სესხები აქვს პირველი იანვრისისთვის 3.250 ათასი მანეთი და მიმწოდებლების დროზე გაუნაღდებელი ანგარიშები 775 ათასი მანეთი.

გარდა ზემოაღნიშნული ორგანიზაციებისა, პირველი იანვრისათვის დიდი ვადაგადაცილებული დავალიანება ირიცხება შემდეგ სამინისტროებსა და უწყებებზე:

| ვადაგადაცილებული დავალიანება ათას მანეთობით | ბანკისადმი | მიმწოდებლებისადმი |
|---|---|---|
| საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო | 1.186 | 5.320 |
| საქართველოს კომუნალური მეურნეობის სამინისტრო | 1.742 | 10.243 |
| საქართველოს საუნე მასალათა მრეწველობის სამინისტრო | 2.942 | 4.239 |
| საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტრო | 4.200 | 1.600 |
| საქართველოს მოსახლეობის საყოფაცხოვრები მომსახურების სამინისტრო | 751 | 1.672 |
| საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო | 381 | 229 |
| საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო | 1.690 | 772 |
| საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო | 15.649 | 2.878 |
| საქართველოს მშენებლობის სამინისტრო | 3.594 | 14.654 |
| „საქკოსერვხილმოსტანის" | 4.400 | 2.100 |
| სახელმწიფო კომიტეტი „საქჩაბმრეწვი" | 1.080 | 944 |
| „საქნახშირის" | 874 | 1.377 |
| „საქმთავარმომარაგების" | 2.012 | 1.613 |

სამინისტროებისა და უწყებების, ყველა საწარმოს და ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა, კარგად უნდა იცოდნენ, რომ სესხის აროდროულად დაფარვა იწვევს საკრედიტო დისციპლინის დარღვევას, არ ხდება სახალხო მეურნეობაში კრედიტის ეფექტურად გამოყენება, ამავე დროს თვით სესხების მიმღები ორგანიზაციები ზარალდებიან იმის გამო, რომ ვალის დაგვიანებით გადახდის გამო ბანკს ჯარიმის სახით დიდ თანხებს უხდიან. ვადაგადაცილებული სესხის და მიმწოდებლების ანგარიშების გაუნაღდებლობა ნიშნავს, რომ საწარმოში შექმნილია საფინანსო სიძნელე, მაგრამ ამას ზოგიერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ანალიზს არ უკეთებს, არ იღებს გადამჭრელ ზომებს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

სახბანკის მუშაკები იძულებული არიან ასევე ორგანიზაციებს რამდენიმე გაფრთხილების შემდეგ მიუყენონ სანქცია; დაკრედიტების განსაკუთრებული რეჟიმი, დაკრედიტებიდან მოხსნა და სხვა სახის ზეკანონური ზომები.

სესხების დროულად დაფარვისათვის სახელმწიფო ბანკის სისტემაში ზემდგომი ორგანოების დადგენილებით 1967 წლის პირველი აპრილიდან შემოღებულია პრემიალური სისტემა, მაგრამ საქართველოში სახბანკის დაწესებულებების 60-70 პროცენტი ვერ იღებს ამ პრემიებს იმის გამო, რომ მთელი რიგი ორგანიზაციები საჭირო ზომებს არ ახორციელებენ დავალიანების დროულად გადახდისათვის.

იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელობამ რომელთაც აქვთ სახელმწიფო ბანკის ვადაგადაცილებული სესხები, უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები, რათა დროულად დაფაროს დავალიანებები და ამით ხელი შეუწყოს სახელმწიფო ბანკს კვლავ გასცეს სესხები სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

**ნ. შავაძე.**

**სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველის მოადგილე, რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი.**

## ტრაქტორის სრულყოფისათვის

**დტ-75** მარკის ტრაქტორი საბჭოთა წარმოების ყველაზე ახალი ტიპისაა. ტრაქტორს აქვს მძლავრი წევითი ძალა, მუხლუხოვანია. მუხლუხები მოძრაობაში მოჰყავს ბოლო გადაცემის მექანიზმს — წამყვანი თვლის ღერძითა და ფასზე დამაგრებული ვარსკვლავა თვლის სამოაღლებით. ისინი ერთმანეთთან დამაგრებული არიან ქანჩ-ჭანჭიკით, მაგრამ ეს დამაგრება, სამწუხაროდ, ისე უბრალოა ამ კვანძისათვის, რომ სულ მოკლე ხანში გამოდის მწყობრიდან.

კონსტრუქციით გათვალისწინებული ქარხნული შეერთების ვარიანტით ვარსკვლავა თვლისა და წამყვანი ღერძის ხვრეტსა და ჭანჭიკს შორის არის ღრეჩო, რადგან ჭანჭიკი უნდა ტრიალდეს დასაქანჩავად, რათა ვარსკვლავა თვალი მყარად მიემაგროს ღერძს. მაგრამ ეს ასე არ არის.

ტრაქტორის მოძრაობის დროს წინ ან უკან წარმოიშობა ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული ძალები, რის გამო ჭანჭიკსა და ხვრეტს შორის მიმდინარეობს ინტენსიური ცვეთა.

ჩემი წინადადებით, „საქსოფლტექნიკის" დუშეთის განყოფილების სახელოსნოში შემეძინა გამოცდილების მიხედვით, გაცვეთილი დეტალების გამოყენება (თუ ხვრეტები ძალიან ელიფსურად არის ნაცვეთი) შეიძლება, მხოლოდ ხელახლა უნდა გაიბურღოს ხვრეტები და ჭანჭიკიც ხელახლა დამზადდეს ისე, რომ წამყვანი ღერძის ხვრეტში ჰქონდეთ გამოდიოდეს და არ უნდა არსებობდეს ღრეჩო ნახვრეტსა და ჭანჭიკს შორის.

შეერთების ეს ვარიანტი დიდად ახანგრძლივებს ტრაქტორის ექსპლოატაციის ვადას, მეტად იაფი ჯდება. მისი გაკეთება ყველა სახელოსნოში შეიძლება.

**ვ. თინიკაშვილი.**

**საქსოფლტექნიკის დუშეთის განყოფილების უფროსი ინჟინერი.**

**კომუნისტი**
**ორგანო**
**ბიბლიოთეკა**
**რაიონალიზატორი**
**გვირჩევს**

# რაიკომი და კადრები

**ბ. ბერიძე.**

**საქართველოს კპ ხულოს რაკომის პირველი მდივანი.**

ენგურჰესის მშენებლობის ძალოვანი კვანძის სამმართველოში მოწინავედ ითვლება მეხუთე უბნის კოლექტივი, რომელსაც ახალგაზრდა სპეციალისტი მ. ჭაავა ხელმძღვანელობს.

სურათზე: უბნის უფროსი მ. ჭაავა დავალებას აძლევს ცვლის უფროსებს ჯ. ცნობილაძესა და კ. არაბიძეს.

ფოტო თ. შუტკარაძისა.



## ლექციები მდივნებისათვის

**ახალციხე.** რაიონის საკოლმეურნეო, სახბჭოთა მეურნეობებისა და საწარმო-დაწესებულებათა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის წაკითხულ იქნა ლექციები თემაზე: „მშრომელთა კომუნისტური აღზრდა იდეოლოგიური მუშაობის მთავარი ამოცანაა თანამედროვე ეტაპზე".

ლექციები წაიკითხეს პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგემ ფ. კოკოიანმა და რაიკომის ლექტორმა უ. ბერიძემ.

**ლ. დათეშაძვილი.**

## ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის კაბინეტი

